



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-1051/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის რეგისტრირებული ა.(ა).ი.პ. „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ დამკვირვებლის რეგისტრაციის ბათილად ცნობის თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 28 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი არ შეიძლება იყოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. ვინაიდან შოთა ხაბარელი (პ.N01008007860) არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი (საქართველოს პარლამენტის მოქმედი წევრი), იგი არ შეიძლება იყოს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი.

შემოდანიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ და 62-ე მუხლების საფუძველზე, ვადგენ:

მუხლი 1. ბათილად იქნეს ცნობილი „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის, ა.(ა).ი.პ. „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 20 ნოემბრის №02-786/2018

განკარგულების დანართი №154 შოთა ხაბარელის დამკვირვებლად რეგისტრაციის ნაწილში, მისი რეგისტრაციაში გატარების მომენტიდან.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი